სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	**N261608849**
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	**13.11.2026 წ**
სანოტარო მოქმედების დასახელება	**ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება**
ნოტარიუსი	**ეკატერინე ედიბერიძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**თბილისი, ქუჩა მტკვარი №4, ბინა 20**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	**244 40 40**
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	**47727610323626**

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

ორიათას ოცდაექვსი წლის ცამეტ ნოემბერს, მე ეკატერინე ედიბერიძეს, საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქუჩა მტკვარი N4, ბ.20 მომმართა: დავითი კახნიაშვილმა (დაბ: 28.06.1984წ, პ/ნ 59004000687, პ/მ 18IC77922, გაც. 06.02.2019წ, მის. გორი ს. თამარაშენი). მან მოითხოვა განცხადების შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს, განვუმარტე დოკუმენტზე ხელმოწერების სამართლებრივი შედეგები, რომ ხელმოწერების დამოწმებისას, ნოტარიუსი ვალდებულია შეამოწმოს მხოლოდ მხარეთა (წარმომადგენელთა) პირადობები, ქმედუნარიანობა და დაამოწმოს ხელმომწერ პირთა ხელმოწერების ნამდვილობა. ამასთან, ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის, ან კერძო აქტში ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო, რის შემდეგაც მათივე კარნახით შევადგინე თანხმობის ტექსტი, რომელიც მე ნატარიუსმა წავუკითხე ხელმომწერ პირს, მან თავადაც წაიკითხა და აღნიშნულის შემდეგ ნათლად და მკაფიოდ განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია და სრულად მისაღებია ტექსტის შინაარსი, იგი გამოხატავს მის სურვილს და ნებას და პირადად მოაწერა ხელი შემდეგ დოკუმენტს.

განცხადება

(თანხმობა)

მე, დავითი კახნიაშვილი (დაბ: 28.06.1984წ, პ/ნ 59004000687, პ/მ 18IC77922, გაც. 06.02.2019წ, მის. გორი ს. თამარაშენი), როგორც არქიტექტორული პროექტის (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 74ა, ს/კ 01.72.14.034.877) ავტორი, გადავცემ საავტორო უფლებას არქიტექტორ დავითი კოპალიანს (პ/ნ 49001015456), რათა მან განახორციელოს პროექტში ცვლილებები, განახლებული სახით შეიტანოს მერიის შესაბამის სამსახურებში და დაასრულოს ზემოაღნიშნულ უძრავ ნივთზე არსებული პროექტი, რასთან დაკავშირებითაც პრეტენზია არ გამაჩნია და ვადასტურებ ჩემი ხელისმოწერით.

ხელმოწერა დავითი კახნიაშვილი

წინამდებარე დოკუმენტი შედგენილია ქართულ ენაზე ერთ ეგზემპლარად, რომელიც გადაეცა განმცხადებელს.
გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაური, საქართველოს მთავრობის 2011წ 29 დეკემბრის #507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები''-ს შესახებ 31-ე მუხლის შესაბამისად ერთი ეგზემპლარისთვის 6.00 (ექვსი) ლარი, 10.00 (ათი) ლარი განცხადების პროექტის შედგენისთვის, 39-ე მუხლის შესაბამისად სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5.00 (ხუთი) ლარი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად დღგ 2.88 (ორი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი) ლარი. სულ გადახდილია 23.88 ლარი .

ნოტარიუსი: ეკატერინე ედიბერიძე